საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი

ზოგადი ინფორმაცია

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მიღებული იქნა 1996 წლის 16 მაისს, რასაც მოყვა სახალხო დამცველის აპარატის დაარსება.

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიერ. ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს მათ აღდგენას.

საქართველოს სახალხო დამცველი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით, აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში და საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება არ წყვეტს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას და არ ზღუდავს მის უფლებამოსილებას.

წინამდებარე ანგარიშით წარმოდგენილია ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2024 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გააჩნია 10 რეგიონული ოფისი და სათაო ოფისი თბილისში. 2024 წელს დასრულდა აპარატის ახალი შენობის მშენებლობა და 2025 წლის 1 იანვრიდან მოქალაქეთა მიღება და აპარატის საქმიანობა გაგრძელდა ახალ მისამართზე-
<u>თბილისი, ირაკლი ფაღავას ქუჩა N6, ავლაბარი.</u>
<u>2024 წელს</u> ასევე, გაიხსნა ახალი ოფისი **ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა, N 11.**

ზოგადი ინფორმაცია

სახალხო დამცველის აპარატის მისამართები

თბილისი

ირაკლი ფაღავას ქუჩა N6, ავლაბარი. საფოსტო ინდექსი 0144. მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან: +995 (32) 299 58 98

/ 1481 / 032 299 58 98 /

1481 / 032 299 58 98 /

info@pdo.ge ; info@ombudsman.ge

https://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/

ცხელი ხაზი: 1481 (24/7)

განცხადების რეგისტრაციისთვის: info@ombudsman.ge
შეკითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: info@pdo.ge

ზემო სვანეთი

მესტია სეტის მოედანი #19

ტელ: 1481

ზუგდიდი

კოსტავას #58

ტელ: 1481

ქუთაისი

რუსთაველის გამზირი #18

ტელ: 1481

გორი

სამების #1

ტელ: 1481

მარნეული

რუსთაველის #61ბ

ტელ: 591701073 ; 1481

ამბროლაური

ბრატისლავა-რაჭის ქუჩა, N 11

ტელ: 1481

ახალქალაქი

ქავქავაძის #4

ტელ: 595807844 ; 1481

თელავი

ვაჟა-ფშაველას #3

ტელ: 1481

ოზურგეთი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა #6ა

ტელ: 1481

ბათუმი

ფიროსმანის #1ა

ტელ: 1481

შიდა ორგანიზაციული პროცედურების გაუმჯობესება

2024 წლის განმავლობაში განახლდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოქმედი შიდა ორგანიზაციული ხასიათის რეგულაციები, მათ შორის: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულება, ადგილზე ვიზიტის წესი, დისტანციური მომსახურების სახელმძღვანელო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესი და სხვა.

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატში შეიცვალა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული ცვლილებით, აპარატში გამარტივდა ელექტრონული საქმისწარმოების პროცესები და გაუმჯობესდა მომართვების სტატისტიკის წარმოება.

შეიცვალა და განახლდა აპარატის ცხელი ხაზის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კიდევ უფრო მოქნილი და მორგებული გახდა არსებულ საჭიროებებზე. ცხელი ხაზის საკონტაქტო ცენტრის პროგრამა დაინტერესებული პირებისთვის 24/7-ზე უწყვეტ დისტანციურ მომსახურებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით უზრუნველყოფს.

საინფორმაციო - საკონსულტაციო საქმიანობა - ცხელი ხაზი 1481

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიმართვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დისტანციურ რეჟიმში ვებგვერდზე www.ombudsman.ge განთავსებული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (online chat), ასევე ელ_ფოსტის info@pdo.ge / info@ombudsman.ge და **ცხელი ხაზის - 1481 მეშვეობით.**

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ცხელ ხაზზე შემოსული მომართვების რაოდენობა



ცხელ ხაზზე მომართვის ზოგადი სტატისტიკა



საინფორმაციო - საკონსულტაციო საქმიანობა - ცხელი ხაზი 1481

თემატიკა, რაზეც მოგვმართავდნენ ცხელ ხაზზე 1481



საინფორმაციო - საკონსულტაციო საქმიანობა - ვიზიტორები

2024 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის ოფისებში მოსულ **1872 მოქალაქეს** გაეწია კონსულტაცია შემდეგ ძირითად საკითხებზე:



ოფისებში მოსულ ვიზიტორთა სტატისტიკა სქესის მიხედვით



ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა ინდივიდუალური უფლებადარღვევის საქმეების შესწავლის გზით

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (სრულიად უსასყიდლოდ) საქმეებს სწავლობს განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით.

სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს.

ნებისმიერ პირს შეუძლია აპარატს მომართოს წერილობით, ან ზეპირად. ზეპირად მომართვის შემთხვევაში მოთხოვნის წერილობით დაოქმებას და დაფიქსირებას სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ.

განცხადებების შესწავლის შედეგად, უფლებადარღვევის დადგენის შემთხვევაში სახალხო დამცველი შესაბამის უწყებას რეკომენდაციით, წინადადებით ან ზოგადი წინადადებით მიმართავს.

ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა ინდივიდუალური უფლებადარღვევის საქმეების შესწავლის გზით

სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის:

- ✓ საჯარო დაწესებულებების გადაწყვეტილებებს, მათ შორის დისკრიმინაციის საკითხებზე;
- ✓ სასამართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას;
- ✓ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას;
- ✓ ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას;
- ✓ რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას.
- ✓ კერძო სამართლის იურიდიული პირების და ფიზიკური პირების გადაწყვეტილებებს და მათ ქმედებებს მხოლოდ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის და ბავშვთა უფლებების საკითხებზე.

2024 წლის მონაცემები აპარატში წარმოდგენილი საჩივრებისა და განხილვის თაობაზე

- პენიტენციურ დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში შედგა 389 ოქმი, რომელიც დარეგისტრირდა როგორც დამოუკიდებელი საქმე
- საკუთარი ინიციატივით საქმის შესწავლა დაიწყო ასევე 172 სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტზე
- ზეპირი მომართვა სავარაუდო უფლება დარღვევის 868 შემთხვევაზე
- სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებზე დარეგისტრირდა 3780 განცხადება
- სახალხო დამცველის აპარატში დასრულდა 3111 განცხადების განხილვა

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა:

- 582 ვიზიტი დახურულ დაწესებულებებში
- მონახულებულ იქნა1 681 პირი

აქედან:
- 464 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში
- მონახულებულ იქნა 1 279 მსჯავრდებული/ბრალდებული

- 21 ვიზიტი ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში
- მონახულებულ იქნა 52 პაციენტი

- 81 ვიზიტი დროებითი მოთავსების იზოლატორებში
- მონახულებულ იქნა 305 დაკავებული

- 3 ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის სამმართველოებში
- მონახულებულ იქნა 17 პირი

- 5 ვიზიტი კლინიკა „ვივამედში“
- მონახულებულ იქნა 3 მსჯავრდებული

- 8 ვიზიტი სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა კლინიკებში
- მონახულებულ იქნა 25 დაკავებული ან/და საპროტესტო აქციებზე დაშავებული მოქალაქე

შემოსული განცხადებების პირველადი შემოწმების შედეგები



- განცხადებების პირველადი შემოწმების შემდეგ დაუშვებლად/ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი 1120 განცხადება
- ხოლო დასაშვებად იქნა ცნობილი და აპარატის მიერ დაიწყო საქმეების არსებითად განხილვა 2390 შემთხვევაში

ინდივიდუალური უფლება დარღვევის შესწავლის შედეგები:
რეკომენდაცია - წინადადება - ზოგადი წინადადება

ინდივიდუალური განცხადებების და საჩივრების განხილვის შედეგად 2024 წელს სახალხო დამცველმა გასცა 82 რეკომენდაცია/წინადადება/ზოგადი წინადადება, აქედან 11 ეხებოდა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებს.

გაცემული 2024 წელს



დაცული უფლებების მიხედვით



ინდივიდუალური უფლება დარღვევის შესწავლის შედეგები: რეკომენდაცია - წინადადება - ზოგადი წინადადება



სასამართლოს მეგობრის მოსაზრება - Amicus Curiae

2024 წელს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარდგენილია შემდეგ სასამართლო ინსტანციებში



მათ შორის, შინაარსის მიხედვით გაგზავნილია შემდეგ ინსტანციებში



საკონსტიტუციო სარჩელები და სასამართლოს მეგობრის მოსაზრება

2024 წელს წარდგენილი ორი კონსტიტუციური სარჩელი (N1821 და N1808) შეეხებოდა:

- სისხლის სამართლის საქმეებზე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვის დროს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან ძალაში დატოვების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას;

- საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როდესაც პირი სრულად იხდის სასჯელს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება საექსტრადიციო სამართალწარმოება, რაც პირისთვის საექსტრადიციო პატიმრობის სახით თავისუფლების დამატებით შეზღუდვის საფუძველი ხდება.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2024 წლის 29 აგვისტოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა **საკონსტიტუციო სასამართლოს** „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობის შეფასებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მიმოხილულია კანონით დადგენილი რეგულირებების ფართოდ ინტერპრეტირების შესაძლებლობა და არსებული მონიტორინგის მექანიზმი, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ნაწილში. დეტალურად იხილეთ ბმული.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება - Amicus Curiae

საერთო სასამართლოების **სისხლის სამართლის საქმეთა** კოლეგიებში და პალატებში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები შეეხებოდა სასჯელის სახეებს, ვადებს, ექსტრადიციის და თავისუფალი მიმოსვლის საკითხს, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის უფლებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ქალის მკვლელობის საქმეზე გენდერული მოტივის იდენტიფიცირებას.

საერთო სასამართლოების **ადმინისტრაციულ საქმეთა** კოლეგიებში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები შეეხებოდა მათ შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, არჩევნების ფარულობასთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სხვა საკითხებს.

სახალხო დამცველმა მზია ამაღლობელის საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა 16 იანვარს მზია ამაღლობელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus curiae) მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. დოკუმენტში საუბარია აღკვეთის ღონისძიების სახ ...

საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება გაიზიარა

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებას საქმეზე „გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელმაც გაიზიარა სახალხო დამცველის ...

სასამართლო მეგობრის მოსაზრება არჩევნებში ფარულობის უზრუნველყოფის სტანდარტის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველმა 2024 წლის 13 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus curiae) წარადგინა ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელის საფუძველზ ...

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus curiae) აფგან სადიგოვის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

2024 წლის 4 ნოემბერს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან სადიგოვის საერთაშორისო დაცვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა. სასამა ...

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით

2024 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ სარჩელის საფუძველზე დაწყებულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებ ...

პრევენციული ფუნქციების შესრულება

პრევენციის ეროვნული მექანიზმი - 2009 წლის 16 ივლისს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2024 წელს დახურული ტიპის 65 დაწესებულებაში განხორციელდა 92 პრევენციული ვიზიტი:

დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



პრევენციული ფუნქციების შესრულება

“შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების” გაეროს კონვენცია (CRPD) – 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს. აღნიშნული დოკუმენტი **საქართველოში ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.** 2014 წლის 27 ოქტომბრიდან კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის ფუნქციებს საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად მოიცავს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მონიტორინგისა და დაცვის მიზნით 2024 წელს 49 ვიზიტი (22 გეგმიური, 27 არაგეგმიური) განხორციელდა სხვადასხვა დაწესებულებებში:

- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში
- შშმ პირთა სათემო ორგანიზაციებში (მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და თავშესაფრებში)
- შშმ პირთა პანსიონატებში

პრევენციული ფუნქციების შესრულება

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიმართულებით **18 სამონიტორინგო ვიზიტი** განხორციელდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სოფლებში.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა:

- 25 სააღმზრდელო დაწესებულებაში
- მათგან, 8 დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად
- 4 დედათა და ბავშვთა თავშესაფარში.

გენდერის მიმართულებით განხორციელდა:

- 9 მონიტორინგი (პირველადი და განმეორებითი) ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში
- 8 ვიზიტი კრიზისულ ცენტრებში
- 1 ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებაში

2024 წელს მომზადდა 16 სპეციალური ანგარიში, რომელთაც უმეტესწილად, წინ უძღოდა მონიტორინგის ვიზიტები

- სპეციალური ანგარიში „მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის“. იხილეთ ანგარიში

- სპეციალური ანგარიში საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. იხილეთ ანგარიში.

- სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში “გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი”. იხილეთ ანგარიში.

- **N8** პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- **N6** პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- კვლევა „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“. იხილეთ ანგარიში.

- ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი - 2022. იხილეთ ანგარიში.

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- ინკლუზიური განათლების მონიტორინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იხილეთ ანგარიში.

- რესურსსკოლების მონიტორინგის ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში“. იხილეთ ანგარიში.

- ბათუმის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიული სტაციონარის მონიტორინგის ანგარიში. იხილეთ ანგარიში.

- ცხრა სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის შედეგები. იხილეთ ანგარიში.

- საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ **N.9** იხილეთ ანგარიში.

- კერძო დაფინანსებით მოქმედი ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებების მონიტორინგი. იხილეთ ანგარიში.

ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ ალტერნატიული ანგარიში

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში

2024 წლის 28 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წარადგინა **სპეციალური ანგარიში**, რომელშიც მიმოხილულია „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით სახელმწიფო უწყებებისთვის მიცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა. აღნიშნული დადგენილება გამოცემულია სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე.

პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დავალებების შესრულების მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით არ შეცვლილა და, შესაბამისად, კვლავ არადამაკმაყოფილებელია:

წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზდა პარლამენტის მიერ გაცემული 258 დავალება.[2] აღნიშნულთაგან 20 დავალება არ ექვემდებარება შეფასებას პარლამენტის მიერ მისი შინაარსის არსებითი ცვლილების გამო. ასევე, სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო შეუძლებელია 24 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება. დამატებით, 1 დავალება არ ფასდება დუბლირების საფუძვლით.



საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილი დოკუმენტები

United Nations

2024 წლის 22 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა **ალტერნატიული ანგარიში** წარუდგინა გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტს, 74-ე წინასასესიო სამუშაო შეხვედრისათვის

2024 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს **წარუდგინა კომუნიკაცია** თხელიძის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.

2024 წლის 18 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს **წარუდგინა კომუნიკაცია** იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წარდგენილი დოკუმენტები

2024 წლის 2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მორიგი **კომუნიკაცია წარუდგინა** საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

2024 წლის 30 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მორიგი **კომუნიკაცია წარუდგინა** ცინცაბაძის ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს განხორციელებული ცნობიერების ამაღლების აქტივობები

თანასწორობის საკითხებზე ჩატარდა 19 საინფორმაციო შეხვედრა:

- კერძო სექტორის 113 წარმომადგენელთან, 73 სტუდენტთან, 124 სკოლის მოსწავლესთან, 19 მასწავლებელთან, რელიგიური ორგანიზაციის 15 წარმომადგენელთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან და ადვოკატთა ასოციაციის 20 წევრთან.

სახალხო დამცველის მანდატს გაეცნენ სომხეთის რესპუბლიკიდან ჩამოსული აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ასევე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თურქეთის ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან.

ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით ჩატარდა 31 საინფორმაციო შეხვედრა:

- 17 საჯარო სკოლებში, 3 — კერძო სკოლებში, 1 — საზოგადოებრივ ცენტრში, 1 — ახალგაზრდულ ცენტრში, 1 — კერძო დაწესებულებაში და 7 — მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

შეხვედრებმა მოიცვა ჯამში 462 ბავშვი და ერთი კერძო დაწესებულების 19 პედაგოგი.

სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს განხორციელებული ცნობიერების ამაღლების აქტივობები

ქალთა უფლებების თაობაზე ჩატარდა:

- 2 შეხვედრა ეთნიკური უმცირესობისა და სოფლად მცხოვრებ ქალებთან
- 10 შეხვედრა რეგიონებში მცხოვრებ დევნილ ქალებთან და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- 2 შეხვედრა სტუდენტებთან
- 1 შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ქალთა უფლებების შესახებ
- 2 სამუშაო შეხვედრა პროკურატურის, შსს და სასამართლოს წარმომადგენლებთან ფემიციდის სტატისტიკის საკითხებზე
- 1 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე
- 1 შეხვედრა ეთნიკური უმცირესობის ქალებთან რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე

- ჩატარდა 1 ტრენინგი პროკურატურის თანამშრომლებთან ფემიციდის თემაზე

შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით:

- ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა
- გაიმართა შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს 3 სამუშაო შეხვედრა

თანამშრომლობა ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონული თუ საერთაშორისო გაერთიანებების/ქსელების ფარგლებში

2024 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკრედიტაციის პროცესის გათვალისწინებით. სახალხო დამცველის აპარატი 2024 წელს შეფასდა გაეროს პარიზის პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით. შეფასებას ახორციელებს GANHRI-ს ფარგლებში მოქმედი აკრედიტაციის ქვე-კომიტეტი.

2024 წლის შემოდგომის სესიის ფარგლებში აკრედიტაციის ქვე-კომიტეტმა განიხილა აპარატის მიერ მომზადებული სპეციალური განაცხადი, ასევე ჩატარდა გასაუბრება და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს კიდევ ერთხელ მიანიჭა „A“ სტატუსი, რაც ადასტურებს აპარატის სრულ შესაბამისობას პარიზის პრინციპების მოთხოვნებთან.

საქართველოს სახალხო დამცველი პირველი აკრედიტაციის შემდგომ, 2007 წლიდან მუდმივად ფლობს „A“ სტატუსს.

საქართველოს სახალხო დამცველი არის არაერთი ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის საერთაშორისო თუ რეგიონული გაერთიანების/ქსელის წევრი, როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI);
- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI);
- ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელი (ENOC);
- ომბუდსმენის საერთაშორისო ინსტიტუტი (IOI);
- თანასწორობის ორგანოთა ევროპული ქსელი (Equinet);
- ომბუდსმენთა ევროპული ქსელი (ENO);
- ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ომბუდსმენთა ასოციაცია (AOM);
- აზიის ომბუდსმენთა ასოციაცია (AOA).

თანამშრომლობა ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონული თუ საერთაშორისო გაერთიანებების/ქსელების ფარგლებში

2024 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, და ამავდროულად წარმატებული იყო როგორც ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების, ასევე საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების, ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონული თუ საერთაშორისო გაერთიანებების/ქსელების საქმიანობაში ჩართვის და თანამშრომლობის თვალსაზრისით.

2024 წელი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ომბუდსმენების/ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების რეგიონული თუ საერთაშორისო ქსელების საქმიანობაში ჩართვის თვალსაზრისით. კერძოდ, 2024 წლის ოქტომბერში თამარ გვარამაძე, საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე აირჩიეს ENNHRI-ს მმართველი საბჭოსა და GANHRI-ს ბიუროს წევრად სამწლიანი ვადით. აღნიშნული გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აღიარებულია საერთაშორისო დონეზე და სარგებლობს მაღალი რეპუტაციით პარტნიორ ინსტიტუტებს შორის.

ENNHRI-ს ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატი არის ხანდაზმულთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თანა-თავმჯდომარე, პოლონეთის ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისთან ერთად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2022 წლიდან ასევე არის ხმელთაშუაზღვის ომბუდსმენთა ასოციაციის (AOM) მმართველი ორგანოს - ბორდის წევრი და აქტიურად არის ჩართული ამ ქსელის საქმიანობასა და აქტივობებში.

საერთაშორისო პარტნიორობა - პროექტები

2024 წლის განმავლობაში პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით მიღებული პროექტული მხარდაჭერა

- USAID-PDO პარტნიორობის G2G პროგრამა
- UN Women
- ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
- UNICEF

USAID-PDO პარტნიორობის პროგრამა - ეხება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო ეფექტური ზედამხედველობისთვის ქვეყნის/შიდა შესაძლებლობების გაძლიერებას, მართვის შიდა პროცესებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სტრატეგიული კომუნიკაციის გამოუჯობესებას მრავალფეროვან აუდიტორიასთან

UN Women-ის „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისთვის“ - ეხება გენდერული უთანასწორობის დაძლევას თანმიმდევრული და ჰოლისტური მიდგომით, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრის საკითხებს.

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო - ეხება „წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გაძლიერებას პენიტენციურ სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ და სხვა ინსტიტუციებში“

UNICEF - ეხება „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მხარდაჭერას კვლევის, მონიტორინგის და ბავშვებისთვის ინფორმაციის ადაპტირების საშუალებით“

სახალხო დამცველის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა



სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსი

2024 წელს საშტატო განრიგით დასაქმებულ და დროებითი ამოცანების შესასრულებლად სახალხო დამცველის აპარატში წლის ბოლოსთვის დასაქმებული იყო - 140 პირი, აქედან 93 ქალი და 47 კაცი.





საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველის აპარატში დაცული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისათვის საჭიროა ელექტრონულ ფოსტაზე - info@pdo.ge ხელმოწერილი განცხადების გამოგზავნა, სადაც ნათლად იქნება მითითებული თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის შინაარსი.
ამასთანავე, არის შესაძლებლობა საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმა:
- ელექტრონული სახით;
- მატერიალური სახით;
- დედანში გაცნობა.

პროექტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის ვებ გვერდზე - საჯარო ინფორმაცია.

2024 წელს გაცემულია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველი წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“.

სხვადასხვა ღონისძიება

2024 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 26 შეხვედრა-კონფერენციაში, სადაც სხვადასხვა უფლებადაცვითი აქტუალური თემები იყო განხილული.

2024 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, **კონფერენცია გამართა** თემაზე - ფემიციდის პრევენცია და მონიტორინგი: 2022 წელს მომხდარი საქმეების ანალიზი.

2024 წლის 19 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ირინე ჩიხლაძემ მონაწილეობა მიიღო **ევროპის საბჭოს ღონისძიებაზე**, სადაც დასრულებული პროექტის - „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში მიღწეული შედეგები შეაჯამეს.

2024 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე **გამართულ შეხვედრაში** მიიღო მონაწილეობა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე და სახელმწიფო ორგანიზაციებისა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

სხვადასხვა ღონისძიება

2024 წლის 29 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა **საბჭოს შეხვედრაში**, რომელზეც ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინება და ამ გამოწვევის გადაჭრის გზები განიხილეს.

2024 წლის 13-14 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის **გაიმართა სემინარი** თემაზე „ადამიანის უსაფრთხოების მონიტორინგი - გენდერულად სენსიტიური მონიტორინგის ინსტრუმენტი“. სემინარს საერთაშორისო ექსპერტი ზარა ჯარვინენი უძღვებოდა.

2024 წლის 21 თებერვალს, მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით **შეხვედრა გამართა.**

ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე ისაუბრა სახალხო დამცველმა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პროგრესისა და ძირითადი გამოწვევების შესახებ **ანგარიშის პრეზენტაციაზე.**